

**საგარეუდოდ პოლიტიკურად  
მოტივირებული საქმეების განხილვის  
გაჭიანურებასთან დაკავშირებული  
სამართლებრივი ასპექტები**

2023

## ადამიანის უფლებათა ცენტრი



*ავტორი: შია ჩხაიძე*

*რედაქტირება: ალექო ცქიტიშვილი, ანა ჯაბაური*



*ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

## სარჩევი

1. შესავალი .....	4
2. მეთოდოლოგია .....	4
3. პირის ბრალდებულად ცნობა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება .....	5
4. სისხლისსამართლებრივი დევნის დროული დაწყების აუცილებლობა .....	7
4.1. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების შესახებ .....	8
4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და პროკურატურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი - სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების საქმეებზე .....	9
5. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და საქმეთა სასამართლო განხილვის გაჭიანურების შედეგები .....	10
5.1. მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის საფრთხე .....	11
5.2. პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების რისკი .....	12
5.3. სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება გაჭიანურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე .....	13
6. მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი .....	14
7. ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი .....	16
8. გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი .....	19
9. დასკვნა .....	22

## 1. შესავალი

წინამდებარე ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, შეაფასოს საგარეუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე სისხლის სამართლებრივი დევნისა თუ სასამართლო განხილვის გაჭიანურებისას ბრალდებულის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, გამოკვეთოს ის ტენდენციები, რაც დოკუმენტში განხილულ საქმეებში შესაძლებელია, მიანიშნებდეს საგარეუდო პოლიტიკურ მოტივაციასა და შერჩევით მართლმსაჯულებაზე.

დოკუმენტში განხილული სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მონიტორინგის შედეგების და მონიტორინგთან დაკავშირებული საჯარო წყაროების ანალიზით გამოვლინდა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ არსებულ საქმეებში უფლებამოსილმა პროკურორმა კონკრეტული პირების მიმართ გონივრულ ვადაში არ გამოიტანა საბრალდებულო დადგენილება, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას შესაძლებელია, ჰქონოდა გამოძიების ეტაპზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და შესაბამისად შესაძლებელი იყო მისი ბრალდებულად ცნობა.<sup>1</sup>

თავის მხრივ, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურებით საფრთხე ექმნება ბრალდებულის უფლებას ისარგებლოს გამოძიების ჩატარების, მტკიცებულებების მოპოვებისა და წარდგენის, შუამდგომლობების დაყენების და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.<sup>2</sup> ამასთან, პოლიტიკური მოტივების არსებობის შემთხვევაში, პროკურატურას ნებისმიერ დროს შეუძლია ხანდაზმულობის ვადების დაცვით „გააცოცხოლოს საქმეები“ და პირს ახალი ბრალი წარუდგინოს, რასაც მოჰყვება სისხლისსამართლებრივი დევნის ხელახალი დაწყება. ამ დროს ჩნდება ეჭვი - ხომ არ არის ასეთი ბრალდება პოლიტიკურად მოტივირებული და ამდენად, ხომ არ ხორციელდება პირისადმი შერჩევითი სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულება.

შერჩევითი სამართალი, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ისე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2. მეთოდოლოგია

საგარეუდო პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი ხორციელდება ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე საგარეუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

<sup>1</sup> ირაკლი ოქრუაშვილს ბრალდება 2019 წლის 19 ნოემბერს, პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15 წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე. იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი საგარეუდო პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>2</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-6 (3) მუხლი ჩამოთვლის იმ მინიმალურ უფლებებს, რომელიც უნდა გააჩნდეს ბრალდებულს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგს ახორციელებს 2 იურისტ-მონიტორი, რომელთაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ. მონიტორინგის სწორად წარმართვისათვის სანყის ეტაპზე შემუშავდა სპეციალური კითხვარი სასამართლო მონიტორინგისათვის. იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამუშავებენ სასამართლო სხდომებიდან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც იურისტ-ანალიტიკოსი აანალიზებს და შესაბამისი ანგარიშებისთვის იყენებს.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობისა და სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ჩაურევლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის პრინციპებთან ერთად, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის სათანადოდ გათვალისწინების მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხდის ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და საზოგადოებისთვის.

### 3. პირის ბრალდებულად ცნობა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

პირის ბრალდებულად ცნობა სისხლისსამართლებრივი დევნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ბრალდებულისათვის კონკრეტული შედეგის დადგომით უნდა დასრულდეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა“.<sup>3</sup> თავის მხრივ, კოდექსი გვაძლევს დასაბუთებული ვარაუდის ლეგალურ განმარტებას, კერძოდ: დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა“.<sup>4</sup> საპროცესო კანონმდებლობა პირის ბრალდებულად ცნობას (თუ ის არ დაუკავებიათ) პირდაპირ უკავშირებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.<sup>5</sup> თუ დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირი დაკავებულია, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულად ჩაითვლება ასეთი პირის დაკავების მომენტიდან.<sup>6</sup> ასეთ შემთხვევაში, დადგენილება პირის ბრალდების შესახებ „გააგრძელებს დაკავებისთანავე დაწყებულ სისხლისსამართლებრივ დევნას“. შემდეგ ეტაპზე, პროკურორი განსაზღვრავს ბრალის წაყენების დროსა და ადგილს, რომელიც უნდა მოხდეს დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა.<sup>7</sup> ამრიგად, „ორივე ეს საპროცესო მოქმედება (ბრალდების შესახებ დადგენილება და ბრალის წაყენება) ერთმანეთს განსაზღვრავს და თითოეული მათგანი სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელი ელემენტია“.<sup>8</sup>

გამოძიების ეტაპზე ფაქტობრივი გარემოებები და მოპოვებული მტკიცებულებები საფუძვლად ედება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. კანონი არ განსაზღვრავს, რა

<sup>3</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 169-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>4</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-3 მუხლის მე-11 ნაწილი.

<sup>5</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>8</sup> *მეურმიშვილი ბ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2014, გვ. 129.

იგულისხმება დასაბუთებული გარაუდისათვის საკმარის მტკიცებულებებში. ეს უკანასკნელი შეფასებითა და სწორედ ამიტომაც, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებაა, რომლის გამოყენების დროსაც მან უნდა იხელმძღვანელოს საჯარო ინტერესებით.<sup>9</sup> პირის ბრალდებულად ცნობისათვის საჭირო მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია, გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ.<sup>10</sup> აუცილებელია, რომ დადგენილება პირის ბრალდების შესახებ იყოს მკაფიო, ნათელი და არაორაზროვანი, რათა დაცვის მხარემ შეძლოს დაცვის პოზიციის დროულად და ეფექტურად შემუშავება.<sup>11</sup> ყველა ბრალდებულ პირს, ასევე, უნდა ეცნობოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით გათვალისწინებული გარანტიების შესახებ.<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „აუცილებელია, სისხლის სამართლის საქმის წარმოება აკმაყოფილებდეს შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა თანასწორობის მოთხოვნებს“,<sup>13</sup> რისი განუყოფელი ნაწილიცაა ბრალდებულის ინფორმირება და მათ შორის, მისთვის წვდომის მინიჭება ისეთ ინფორმაციასა და დოკუმენტებზე, რომლებიც საჭიროა დაცვის პოზიციის მოსამზადებლად,<sup>14</sup> კონვენცია პირდაპირ ადგენს მოთხოვნას, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი.<sup>15</sup> ამასთან, საბრალდებო დადგენილებაში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი საფუძველების შესახებ.<sup>16</sup> სახელდობრ, ბრალდებულს უფლება აქვს, იცოდეს, რა სავარაუდო დანაშაულის ჩადენას სდებენ ბრალად მას და რა არის ამ ქმედების სამართლებრივი საფუძველი.<sup>17</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, „სისხლის სამართლის პროცესი ვერ იქნება სამართლიანი“.<sup>18</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ“ წარმოადგენს კონსტიტუციურ ტერმინს [...], მოცემული კონსტიტუციური დანაწესი კი მოითხოვს, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა, მისთვის ბრალის წარდგენა არ განხორციელდეს არსებითად მცდარი, გაყალბებული, არასაკმარისად სანდო ან მეტწილად საეჭვო მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>19</sup> თავის მხრივ, „სახელმწიფოს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი, რომელიც დანაშაულთან დაკავშირებული ფაქტებისა და გარემოებების გამოძიებისკენ არის მიმართული, არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული“.<sup>20</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა თანასწორობის შემადგენელი ნაწილია ბრალდებულის ინფორმირება და მისთვის დაცვის პოზიციის ეფექტურად მომზადების შესაძლებლობის მიცემა, რაც, თავის მხრივ, ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებსა და კანონის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფას.

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-16 მუხლი.

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 169-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>11</sup> *Mattochia v. Italy*, no. 23969/94, § 60, 25 July 2000.

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა, ევროკავშირი საქართველოსთვის, ევროპის საბჭო, 2020 წლის 2 ნოემბერი, გვ. 22.

<sup>13</sup> *Ocalan v. Turkey* [GC], § 140, 2005; *Foucher v. France*, § 34, 1997.

<sup>14</sup> *Albrecht v. Lithuania*, no. 1886/06, § 73, 19 January 2016; *Garcia Alva v. Germany*, no. 23541/94, § 39, 13 February 2001; *Fodale v. Italy*, no. 70148/01, § 41, 2006.

<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>16</sup> *Kamasinski v. Austria*, no. 9783/82, § 79, 19 December 1989; *I.H. and Others v. Austria*, no. 42780/98, 20 April 2006.

<sup>17</sup> *I.H. And Others v. Austria*, no. 42780/98, § 30, 20 April 2006.

<sup>18</sup> *Pélissier and Sassi v. France* [GC], § 52, 1999; *Dallos v. Hungary*, § 47, 2001.

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

<sup>20</sup> იქვე, II-24.

## 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დროული დაწყების აუცილებლობა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება“, რომელიც, მათ შორის, მოიაზრებს ბრალდებულის უფლებას, მის მიმართ სწრაფად და დროულად განხორციელდეს სისხლის სამართალწარმოება. თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი დევნის დროულ დაწყებას არსებითი მნიშვნელობა და კავშირი აქვს ბრალდებულის უფლებასთან სწრაფ მართლმსაჯულებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად საკმარისი მტკიცებულებების შეგროვებისას, ე.ი. იმ მტკიცებულებების ერთობლიობის არსებობის შემთხვევაში, რომლებიც საკმარისია პირის დასაკავებლად ან მისი ბრალდებულად ცნობისათვის, პროკურორმა უნდა გადაწყვიტოს საკითხი, დაიწყებს თუ არა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. თუ პირს დროულად არ მიენიჭება ბრალდებულის სტატუსი, ის ვერ ისარგებლებს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული დაცვის უფლებებით,<sup>21</sup> დამოუკიდებლად ან ადვოკატის მონაწილეობით ვერ შეაგროვებს მტკიცებულებებს,<sup>22</sup> ვერ ჩაატარებს გამოძიებას, ვერ მოითხოვს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას და ვერ გამოითხოვოს მტკიცებულებას, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად, მონაწილეობას ვერ მიიღებს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში.<sup>23</sup> ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია: „გონივრულმა, ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრულმა საკანონმდებლო ნორმებმა უნდა დააბალანსოს ბუნებრივი უპირატესობა, რომელიც შეიძლება ბრალდების მხარეს დაცვის მხარესთან შედარებით გააჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს ბრალდებულს, სრულყოფილად დაიცვას საკუთარი ინტერესები, რაც, თავის მხრივ, მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება“.<sup>24</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 9 თვისა“.<sup>25</sup> შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ვადაც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.<sup>26</sup> იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს სხვა დანაშაულის შემთხვევის გამო ახალ ბრალს წაუყენებენ, ხსენებული 9 თვიანი ვადის დინება შეწყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან. ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის ვადის (ამ შემთხვევაშიც - 9 თვე) გასვლისთანავე კი ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდება. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიმართ ამ უკანასკნელი საფუძვლით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაუშვებელია ამ პირისთვის იგივე ბრალის ხელახლა წაყენება.<sup>27</sup>

<sup>21</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის“.

<sup>22</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლი.

<sup>23</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>25</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

<sup>26</sup> იხ. ასევე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>27</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

#### 4.1. საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების შესახებ

ბრალდებულის უფლებების დასაცავად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი, ბრალდებულს ანიჭებს უფლებას, ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში, ამ კოდექსით დადგენილი წესით შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. „საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუშვებელია ყველა ის მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულ იქნა მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი“.<sup>28</sup> შესაბამისად, ასეთ დროს, განხილვის საგანი სწორედ მტკიცებულებების დაუშვებლობაა.<sup>29</sup> ამ მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ბრალდებულისათვის ჭიანურდება ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ ისარგებლეს გასაჩივრების უფლებით.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურებად ითვლება შემთხვევა, როდესაც „ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვებიდან ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე გასული იყო ხანგრძლივი დრო“.<sup>30</sup> აღსანიშნავია, რომ საქმის სირთულემ და მოცულობამ, შესაძლოა, ობიექტურად განაპირობოს გამოძიების დროში გახანგრძლივება. შესაბამისად, გაჭიანურდა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს საქმის ინდივიდუალური გარემოებების შეფასების საფუძველზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოძიებისა და მართლმსაჯულების მიზნობრივი, ეფექტური და სამართლიანი განხორციელება“.<sup>31</sup> მისთვის მინიჭებული მიხედულების ზღვარი კი „პირობადებულია ვალდებულებით, გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელებისთვის შერჩეული სისტემა/მოდელი[...] იცავდეს ამ პროცესში ყველა აქტორის უფლებებს – როგორც კონკრეტულ პირებს იცავდეს უსაფუძვლო ბრალდებისა და მსჯავრდებისაგან, ისე ადევნატურად პასუხობდეს დაზარალებული პირის კანონიერ ინტერესებს“.<sup>32</sup> აღნიშნულს ცალსახად ეწინააღმდეგება პირის მიმართ საბრალდებო დადგენილების გამოტანის შემდეგ გამოძიების დაუსაბუთებლად გაჭიანურება, რადგან ამით ხდება სწრაფი მართლმსაჯულებისა და სამართლიანი პროცესის მოთხოვნების უგულვებელყოფილია. ამასთან, სამართლიანი მართლმსაჯულება შეუძლებელია განხორციელდეს „სრულყოფილი, ეფექტური და ობიექტური გამოძიების გარეშე“.<sup>33</sup>

<sup>28</sup> *მეურმიშვილი ბ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2014, გვ. 118; იხ. სისხლი სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>29</sup> იქვე.

<sup>30</sup> *მეურმიშვილი ბ.*, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, თბ., 2014, გვ. 45.

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

<sup>32</sup> იქვე.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელაბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.



#### 4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და პროკურატურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი - სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების საქმეებზე

სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე პირის საჩივარს განიხილავს ზემდგომი პროკურორი ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლო.<sup>34</sup> იმის გასარკვევად, თუ რამდენად ეფექტური მექანიზმია საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე და როგორია მასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია და მიიღო წერილობითი პასუხები საქართველოს გენერალური პროკურატურიდან<sup>35</sup> და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან.<sup>36</sup>

საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული წერილიდან ირკვევა, რომ პროკურატურა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლთან დაკავშირებით ინფორმაციის აღრიცხვას არ აწარმოებს.<sup>37</sup> შესაბამისად, უცნობია, როგორი სტატისტიკური ინფორმაცია აქვს პროკურატურას, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, კერძოდ - რამდენად ხშირად მიმართავენ ზემდგომ პროკურორს საჩივრით, რამდენი ასეთი საჩივარი კმაყოფილდება (შესაბამისად, რამდენი არ კმაყოფილდება) და საჩივრის დაკმაყოფილებას მოჰყვება თუ არა შესაბამის საქმეებში პირისთვის წაყენებულ ბრალთან დაკავშირებით არსებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, რომელიც მოპოვებულია გამოძიების დროს.

რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილ ინფორმაციას, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,<sup>38</sup> 2020 წელს, საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განხილულია - 1 საჩივარი, 2021 წელს - 7 საჩივარი. სააპელაციო სასამართლოებში 2020 წელს განხილულია - 1 საჩივარი, 2021 წელი კი - 4 საჩივარი. ამასთან, 2020-2021 წლებში, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მიერ არც ერთი განხილული საჩივარი არ დაკმაყოფილებულა.<sup>39</sup> რაც შეეხება 2022 წლის მონაცემებს, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში განხილულია 12 საჩივარი, საიდანაც დაკმაყოფილდა მხოლოდ 3 საჩივარი. სააპელაციო სასამართლოებში კი, 2022 წელს განხილულია 7 საჩივარი, საიდანაც დაკმაყოფილდა 2 საჩივარი<sup>40</sup> (თვალსაჩინოებისათვის იხ. დიაგრამა).

<sup>34</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

<sup>35</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის NOL-6383 განცხადება.

<sup>36</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის NOL-6409 განცხადება.

<sup>37</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული N13/9640 წერილი.

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nპ-106-23 წერილი.

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nპ-106-23/1 წერილი.

<sup>40</sup> იქვე.

*რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე განხილული საჩივრების სტატისტიკა*

წლები	საჩივარი	რაიონული (საქალაქო) სასამართლო	სააპელაციო სასამართლოები
2020	განიხილა	1	1
	დაკმაყოფილდა	0	0
2021	განიხილა	7	4
	დაკმაყოფილდა	0	0
2022	განიხილა	12	7
	დაკმაყოფილდა	3	2

საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკა ადასტურებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი არ წარმოადგენს ქმედით მექანიზმს და მცირეა როგორც საჩივრით სასამართლოსათვის მიმართვის, ისე სასამართლოების მიერ ასეთი საჩივრების დაკმაყოფილების შემთხვევები. საფუძვლიანი კვლევა, თუ რა არგუმენტაციას ეყრდნობიან სასამართლოები მსგავსი საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას, სცდება ამ ანალიტიკური დოკუმენტის მიზნებს. მნიშვნელოვანია, ბრალდებულებმა და მათმა უფლებადამცველებმა მაქსიმალურად გამოიყენონ აღნიშნული მექანიზმი და საფუძვლიანად დაასაბუთონ საჩივარი, რათა სასამართლოებმა უარი არ განაცხადონ მის დაკმაყოფილებაზე დაუსაბუთებლობის მოტივით.

## 5. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და საქმეთა სასამართლო განხილვის გაჭიანურების შედეგები

პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცული გარანტიები. „სისხლის სამართლის დევნის პროცედურები ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის თავისთავადი კანონზომიერებით ხასიათდება, ამიტომ ასევე კანონზომიერია მოთხოვნა სამართლებრივ სახელმწიფოში, შეიქმნას ყველა საჭირო ბერკეტი, მექანიზმი, რათა თავიდან იქნეს აცილებული პირის უსაფუძვლო, უსამართლო დევნა და პასუხისგებაში მიცემა“.<sup>41</sup> სამართლიანი მართლმსაჯულება კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის პრინციპს ეფუძნება, სახელდობრ, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს ინდივიდის კერძო ინტერესების უგულვებელყოფა და მისი დაუსაბუთებელი მსჯავრდება. სამართლიანი

<sup>41</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

სასამართლოს ფარგლებში ბრალდებულისთვის მინიჭებული უფლებების მიზანი ხარისხიანი დაცვის შესაძლებლობის შექმნაა, რაც გულისხმობს „ბრალდების მხარესთან ბრალდებულის თანაბარ პირობებში ჩაყენებას და დევნის განმახორციელებელი მხარის უპირატესობის დაბალანსებას“.<sup>42</sup> „პირის ბრალდებულად ცნობა საფუძვლად ედება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, რამაც საბოლოო ჯამში უნდა განაპირობოს საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულება“.<sup>43</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, „ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე“, რაც გულისხმობს სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფას სამართალწარმოების სისწრაფესა და სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელებას შორის. „სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უფლებრივ კომპონენტებს. მათი მოთხოვნაა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში და, იმავედროულად, სასამართლოს გააჩნდეს ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფს უფლების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობას“.<sup>44</sup> თავის მხრივ, „მართლმსაჯულების გაჭიანურება ზიანს აყენებს თავად მართლმსაჯულების ეფექტიანობას და სარწმუნოებას, რომელიც ხშირად, მის განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია“.<sup>45</sup> არც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და არც საერთაშორისო სამართლის ნორმები არ ადგენს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობას. ვადის გონივრულობა განისაზღვრება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების საფუძველზე,<sup>46</sup> რა დროსაც მხედველობაში მიიღება საქმის სირთულე, პროცესის მწარმოებელი ორგანოს ქმედებები, ბრალდების სიმძიმე და სხვ. „თუმცა არ არსებობს დადგენილი წესი თუ რა ითვლება გონივრულ ვადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევს იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლივობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში ექვს წელიწადს“.<sup>47</sup>

### 5.1. მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევის საფრთხე

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბრებითობის საფუძველზე“. ბრალდებულმა მისთვის მინიჭებული დაცვის უფლებით ეფექტურად სარგებლობა რომ შეძლოს, მნიშვნელოვანია, მას ჰქონდეს დროული ინფორმაცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ, რადგანაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე იწყებს ამოქმედებას მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი.<sup>48</sup> ამ პრინციპის საფუძველზე, „მხარეს

<sup>42</sup> *გაჩეჩილაძე ქ.*, ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება - ევროპული სასამართლოს საქმეთა ანალიზი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი, გვ. 7, <https://rb.gy/3yevnd>, [08.05.2023].

<sup>43</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გულბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

<sup>44</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 31 მარტის №N2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-14.

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივით (ABA ROLI), თბ., 2015, გვ. 70.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>47</sup> „სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში“, ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა, 2014, <https://rb.gy/hjf1ve>, [08.05.2023].

<sup>48</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება“.<sup>49</sup> პირს, რომლის მიმართ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ ბრალდებულად იქნეს ცნობილი, მაგრამ დროულად არ მიენიჭება ეს სტატუსი, ცხადია, მას ეზღუდება საკუთარი ინიციატივით არა მხოლოდ მტკიცებულებების მოპოვების, არამედ საპროცესო კოდექსით მინიჭებული სხვა უფლებით სარგებლობა. „სისხლის სამართლის პროცესში პირისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭება ემსახურება, ერთი მხრივ, გამოძიების ორგანოსათვის შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების უფლების ლეგიტიმაციას და, მეორე მხრივ, ამ პირის აღჭურვას ადეკვატური საპროცესო გარანტიებით“.<sup>50</sup> თავის მხრივ, „სამართლიანი სასამართლო განხილვის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს სისხლის სასამართლო წარმოების შეჯობებითი ხასიათი, როდესაც დაცულია მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც მოქმედებს სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებიდან შემდგომი სამართალწარმოების ყველა სტადიაზე“.<sup>51</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ პრინციპის რეალური შინაარსი გულისხმობს, რომ პროცესის ორივე მხარეს უნდა გააჩნდეს თანაბარი და გონივრული შესაძლებლობები, სასამართლოში წარადგინოს საკუთარი მტკიცებულებები, გავლენა იქონიოს საქმის მიმდინარეობის პროცესზე და საბოლოო შედეგზე. ხსენებული პრინციპი ზღუდავს ბრალდების მხარისთვის დაუბალანსებელი პრივილეგიის მინიჭებას და ამ ფორმით საქმის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხელოვნურად გამრდას“.<sup>52</sup> ამრიგად, „სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას“.<sup>53</sup>

## 5.2. პოლიტიკური მართლმსაჯულების განხორციელების რისკი

სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების გაჭიანურება, გარდა იმისა, რომ შესაძლოა არღვევდეს ბრალდებულის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს, აჩენს ეჭვს - ხომ არ ხორციელდება პირის მიმართ პოლიტიკური მართლმსაჯულება. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივ ლიტერატურაში არ არსებობს „პოლიტიკური მართლმსაჯულების“, როგორც ტერმინის დეფინიცია. „პოლიტიკური მართლმსაჯულება“ მხოლოდ ცუდ ასოციაციებს იწვევს“.<sup>54</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ გამოძიებისა თუ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას ან შეჩერებული გამოძიების/სისხლის სამართლებრივი დევნის განახლებას წინ უსწრებს მისი პოლიტიკური აქტიურობა, ჩნდება კითხვა - ამ დროს წარდგენილი ბრალდება ხომ არ არის

<sup>49</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-9 მუხლის მეორე ნაწილი.

<sup>50</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

<sup>51</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, მომზადდა „ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივით (ABA ROLI), თბ., 2015, გვ. 84.

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74.

<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>54</sup> ხუბუა გ. საკონსტიტუციო სასამართლო სამართალსა და პოლიტიკას შორის, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N9, 2016, გვ.4.

პოლიტიკურად მოტივირებული. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, ვერ აღდგება სამართლიანობა.<sup>55</sup> ამდენად, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, სასამართლოს, როგორც დამოუკიდებელ ხელისუფლების შტოს, აკისრია უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, შეამოწმოს პირის მიმართ წაყენებული ბრალდება რამდენად არის დასაბუთებული და გამყარებული სამართლებრივი არგუმენტებით. სასამართლომ უნდა დაიცვას მათ შორის, ადამიანის უფლებები, დემოკრატიის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები და კონსტიტუციაში განმტკიცებული სხვა ღირებულებები. „მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესია სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი ინსტიტუტის როლი“.<sup>56</sup>

### 5.3. სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება გაჭიანურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე

სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულთა ერთობლიობის დროს ითვალისწინებს სასჯელთა უპირობო შთანთქმის პრინციპს<sup>57</sup> და გამონაკლისად მოიაზრებს მხოლოდ დანაშაულის რეციდივის შემთხვევას<sup>58</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს.<sup>59</sup> მაგალითად, თუ პირს ჩადენილი აქვს რამდენიმე დანაშაული (და არ გვაქვს დანაშაულის რეციდივის შემთხვევა), სახეზე იქნება დანაშაულთა ერთობლიობა და იმოქმედებს სასჯელთა შთანთქმის პრინციპი. სახელდობრ, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქმავს მეორეს. რაც შეეხება რეციდივს,<sup>60</sup> - „დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრს, ანდა ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება. ამასთანავე, დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს“.<sup>61</sup>

აღსანიშნავია, რომ სასჯელის შთანთქმის პრინციპი სისხლის სამართლის კოდექსში 2013 წლის 17 აპრილის ცვლილებების შემდეგ გაჩნდა<sup>62</sup>, მანამდე კი გამოიყენებოდა სასჯელის შეკრების პრინციპი. კერძოდ, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნებოდა თითოეული დანაშაულისათვის ცალკე-ცალკე და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდებოდა მათი შეკრება. შედეგად სასამართლო ნიშნავდა შედარებით მკაცრ სასჯელებს. 2013 წლის 17 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებების განმარტებითი ბარათის თანახმად,<sup>63</sup> კანონპროექტის მიღების მიზეზი იყო ის, რომ „სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი იწვევდა გაუმართლებლად მკაცრი და არაადეკვატური სასჯელების შეფარდებას, რაც თავის მხრივ ამკვიდრებდა

<sup>55</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35.

<sup>57</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>58</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>59</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>60</sup> „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის სასამართლოვი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“, სისხლის სამართლის კოდექსი, მე-17 მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>61</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>62</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, 546-III, ვებგვერდი, 2013 წლის 8 მაისი, <https://rb.gy/g5ykif>, [08.05.2023].

<sup>63</sup> განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, გვ. 1, <https://rb.gy/ee19qw>, [08.05.2023].

უსამართლობის განცდას. ამასთან, სასჯელთა უპირობო შეკრებითობის პრინციპი მოსამართლეს [...] [ართმევდა შესაძლებლობას], აღესრულებინა მართლმსაჯულება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის დაცვით“.<sup>64</sup> საბოლოოდ, განმარტებითი ბარათის თანახმად, „სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებები დადებითად აისახებოდა როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პირებზე, ისე მოსამართლეებზეც, რომელთაც მიეცემოდათ შესაძლებლობა, ინდივიდუალურ შემთხვევებში, დამოუკიდებლად დაენიშნათ სასჯელი“.<sup>65</sup>

## 6. მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი

დღეისათვის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის 2 დასრულებული და 3 მიმდინარე საქმეა, რომელთაც ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება.<sup>66</sup> აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ სააკაშვილი პირველად 2014 წლის 27 მარტს დაიბარა მოწმის სახით, 2014 წლის 28 ივლისს კი – მეორედ. მესამე პრემიენტი უწყებაში არ გამოცხადდა, პროკურატურამ კი მას პირველი ბრალი იმავე დღეს წაუყენა. სააკაშვილს 2014 წელს წაუყენეს სხვა ბრალდებებიც (7 ნოემბრის აქციის დარბევის, ვალერი გელაშვილის ცემის, საბიუჯეტო ქონების გაფლანგვისა და გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდადებულთა შეწყალების საქმეები).<sup>67</sup>

2018 წლის 28 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოყენებით, დანიშნული სასჯელი შემცირდა ¼-ით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლება სახელმწიფო სამსახურში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ჩამოერთვა 2 წლისა და 3 თვის ვადით.<sup>68</sup> მეორე გამამტყუნებელი განაჩენი სააკაშვილის წინააღმდეგ ეხება სანდრო გირგვლიანის საქმეს და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. ამ საქმეზე, სააკაშვილს 2018 წლის 5 იანვარს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.<sup>69</sup> დასრულებულ საქმეებზე, მიხეილ სააკაშვილს დაუსწრებლად მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. კერძოდ, 2018 წლის 5 იანვარს მიესაჯა - 3 წლით, ხოლო 2018 წლის 28 ივნისს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამრიგად, სახეზე იყო დანაშაულთა ერთობლიობა.<sup>70</sup> ამასთან, რადგანაც არ იყო სახეზე დანაშაულის რეციდივის შემთხვევა,<sup>71</sup>

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 2.

<sup>66</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, 2023 წლის 2 თებერვალი, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>67</sup> 4+1 საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ - რას ედავება პროკურატურა ყოფილ პრემიენტს, პუბლიკა, <https://rb.gy/ydmkmg>, [08.05.2023].

<sup>68</sup> იხ. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 4, <https://rb.gy/1vr7ya>, [08.05.2023].

<sup>69</sup> გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 4, <https://rb.gy/1vr7ya>, [08.05.2023].

<sup>70</sup> იხ. სისხლის სამართლის კოდექსი, მე-16 მუხლის პირველი ნაწილი: „დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული“.

<sup>71</sup> „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“, სისხლის სამართლის კოდექსი, მე-17 მუხლის პირველი ნაწილი.

სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი, ე.ი. 6-წლიანმა თავისუფლების აღკვეთამ შთანთქა 3-წლიანი პატიმრობა და, საბოლოოდ, მიხეილ სააკაშვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.<sup>72</sup>

ექსპრეზიდენტი საქართველოში 2021 წლის 1 ოქტომბერს დააკავეს<sup>73</sup> და მოათავსეს პენიტენციურ დაწესებულებაში. ამრიგად, 2021 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო მის მიმართ 6 წლიანი თავისუფლების აღკვეთის ვადის ათვლა.

ამ ეტაპზე, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლის სამართლის 3 საქმე - 7 ნოემბრის აქციის დარბევის, საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის და საზღვრის კვეთის საქმე.<sup>74</sup> 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე სააკაშვილის ბრალი წადგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), ასევე, - 333-ე მუხლის მეორე ნაწილით (სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების, სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია).<sup>75</sup> ამ დანაშაულისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.<sup>76</sup>

საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის საქმეზე, მიხეილ სააკაშვილი ბრალდებულია 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით გაფლანგვა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით), რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თერთმეტ წლამდე ითვალისწინებს.<sup>77</sup> აღსანიშნავია, რომ 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე სააკაშვილის ბრალი ჯერ კიდევ 2014 წლის 28 ივლისს წარედგინა, შესაბამისად, ამ პერიოდიდან დაიწყო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, 2014 წლის 2 აგვისტოს კი, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.<sup>78</sup> აღსანიშნავია, რომ საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის საქმეზე, მას ბრალი წარედგინა 2014 წლის 13 აგვისტოს.<sup>79</sup> „მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ამ საქმეებზე 2014 წელს დაიწყო, სასამართლო განხილვები დღემდე გრძელდება“.<sup>80</sup>

<sup>72</sup> იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება, 01.10.2021, <https://rb.gy/8lanxe>, [08.05.2023].

<sup>73</sup> რა ვიცი მიხეილ სააკაშვილის დაკავების დეტალებზე ამ მომენტისთვის, პუბლიკა, <https://t.ly/4INZ>, [08.05.2023].

<sup>74</sup> დეტალურად იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>75</sup> 4+1 საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ - რას ედავება პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს, პუბლიკა, <https://rb.gy/ydmkmg>, [08.05.2023].

<sup>76</sup> სისხლის სამართლის კოდექსი, 333-ე მუხლი.

<sup>77</sup> საქართველოს პროკურატურის განცხადება, 01.10.2021, <https://rb.gy/8lanxe>, [08.05.2023].

<sup>78</sup> გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 5, <https://rb.gy/1vr7ya>, [08.05.2023].

<sup>79</sup> 4+1 საქმე სააკაშვილის წინააღმდეგ - რას ედავება პროკურატურა ყოფილ პრეზიდენტს, პუბლიკა, <https://rb.gy/ydmkmg>, [08.05.2023].

<sup>80</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, <https://rb.gy/1vr7ya>, [08.05.2023].

მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე.<sup>81</sup>

სამსჯელოა - იმ შემთხვევაში, თუ 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზე და საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის საქმეზე დადგება განაჩენი შედარებით მოკლე დროში, მაშინ როგორ განისაზღვრება სასჯელის ვადა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2021 წლის 1 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილის დაკავებით დაიწყო მის მიმართ შეფარდებული 6 წლიანი პატიმრობის ვადის ათვლა. ამდენად, მას სასჯელის სახით მოსახდელი დარჩა, დაახლოებით, 4 წელზე მეტი. თუკი ამ დასახელებულ ორ საქმეში, დღეიდან 4 წლის შუალედში ან 4 წლის შემდეგ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, სისხლის სამართლის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ასევე გამოიყენება სასჯელის შთანთქმის პრინციპი. რამდენადაც, საბიუჯეტო ქონების გაფლანგვის საქმეზე წაყენებული ბრალდება ითვალისწინებს შვიდიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ეს სასჯელი შთანთქმავს ე.წ. 7 ნოემბრის საქმეზე წაყენებული ბრალდებით გათვალისწინებულ 5-დან 8 წლამდე ვადით გათვალისწინებულ თავისუფლების აღკვეთას. თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ“. ამრიგად, ამ უკანასკნელ ორ საქმეზე დამდგარი განაჩენს გამოაკლდება პირველ ორ საქმეზე („ვალერი გელაშვილის ცემის საქმე და გირგვლიანის საქმე“) უკვე მოხდილი სასჯელი.

რაც შეეხება, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე მეხუთე - ე.წ. საზღვრის კვეთის საქმეს, ექსპრეზიდენტს პროკურატურამ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით, 2021 წლის 20 ოქტომბერს წარუდგინა.<sup>82</sup> ამ დროისთვის გამოკვლეულია მხარეთა მტკიცებულებები. ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სახეზე გვექნება სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული განაჩენთა ერთობლიობა. კერძოდ, სასამართლოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ ან მთლიანად მიუმატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი ან ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

## 7. ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი

პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი 2019 წლის 26 ივლისს წარედგინა 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე.<sup>83</sup> 2019 წლის 25 ივლისს ის დააკავეს. პროკურატურა მას 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებისას ჭკუფური ძალადობის ხელმძღვანელობას (სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილი) და მასში მონაწილეობას (სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ედავებოდა.<sup>84</sup> თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული

<sup>81</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>82</sup> სააკაშვილის საზღვრის უკანონო კვეთაზე ბრალი წარედგინა, ნეტგაზეთი, <https://rb.gy/dzesin/>, [08.05.2023].

<sup>83</sup> დეტალურად იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, <https://rb.gy/wafrr8>, [08.05.2023].

<sup>84</sup> იქვე, გვ. 8.



დანაშაულის (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) ჩადენაში და 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრალდებით. პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შეწყალების აქტის საფუძველზე, ოქრუაშვილმა პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა. ამდენად, 2019 წლის 25 ივლისიდან 2020 წლის 15 მაისამდე, ის დაახლოებით 1 წელი სასჯელს იხდიდა პენიტენციურ დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მოსამართლე ვეფხვია ლომიძემ პირველი ინსტანციის განაჩენი ძალაში დატოვა.<sup>85</sup> გადაწყვეტილება ირაკლი ოქრუაშვილმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, საკასაციო სასამართლომ 2022 წლის 1 ნოემბრის განჩინებით, ეს საჩივარი განსახილველად არ მიიღო და შესაბამისად, ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>86</sup>

ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ, მიმდინარეობს მეორე საქმეც, რომელიც ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმის სახელით არის ცნობილი.<sup>87</sup> ამ საქმეზე, საბრალდებო დადგენილება მას, 2019 წლის 19 ნოემბერს გადაეცა პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას, სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ცენტრმა ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასების ანალიტიკურ დოკუმენტში მიუთითა, რომ „ეს გარემოება, გონივრული ვარაუდის ფარგლებში, აჩენდა ეჭვს, რომ საქართველოს პროკურატურის მიზანი იყო, ორივე საქმეზე რაც შეიძლება ნაკლები დროით გადაეფარა წინასწარი პატიმრობის ვადებს ერთმანეთი და მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით ყოფილიყო ბრალდებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, რაც, ამასთანავე, ხელისუფლების მხრიდან ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაინტერესებაზეც მიანიშნებს“.<sup>88</sup> საქმეში, ასევე, პრობლემური იყო წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის ათვლის საკითხიც, რადგანაც ახალი ბრალის წაყენების შემდეგ, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის ათვლა თავიდან, 20-21 ივნისის საქმისგან დამოუკიდებლად დაიწყო.<sup>89</sup> ამჟამად, საქმის განხილვა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზეა.<sup>90</sup>

ამრიგად, ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე საქართველოს პროკურატურის მიერ ბრალის წაყენებისას, ირაკლი ოქრუაშვილი უკვე ბრალდებული იყო 2019 წლის 20-21 ივნისის საქმეზე. ამასთან, ამ საქმის გამოძიება პროკურატურამ 2012 წლის 12 ნოემბერს განაახლა, თავად ირაკლი ოქრუაშვილი კი პირველად 2018 წლის 26 თებერვალს დაიკითხა<sup>91</sup>. შესაბამისად, 2012 წლიდან მიმდინარეობდა განახლებული გამოძიება, ხოლო საბრალდებო დადგენილება მას მხოლოდ 2019 წელს გადაეცა, მაშინ, როდესაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე

<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>86</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 1 ნოემბრის №468აპ-22 განჩინება.

<sup>87</sup> ამ საქმესთან დაკავშირებით დეტალურად იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 23, <https://rb.gy/wafrr8>, [08.05.2023].

<sup>88</sup> იხ. იქვე, გვ. 28.

<sup>89</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>90</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

<sup>91</sup> ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, <https://rb.gy/wafrr8>, [08.05.2023].

შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა“. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, „ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ“. სწორედ, დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე იწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>92</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე გამოძიება 2012 წელს განახლდა, მას შემდეგ პროკურატურას შესაძლოა, ჰქონოდა საკმარისი მტკიცებულებები იმისათვის, რომ მომხდარიყო ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდებულად ცნობა და დაწყებულიყო მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა. თუმცა, მას ბრალი 7 წლის შემდეგ წარუდგინეს, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლას აკლდა რამდენიმე დღე. „ეს კი აჩენდა ეჭვს, რომ შესაძლებელია პროკურატურა ფლობდა ინფორმაციას აღნიშნული სავარაუდო დანაშაულის შესახებ და ბრალის წარსადგენად მათთვის ხელსაყრელ დრომდე, ხელოვნურად გააჭიანურეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დრო“.<sup>93</sup> აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ „2004 წლის დანაშაულის შესახებ პროკურატურისთვის ინფორმაცია მოგვიანებით გახდა ცნობილი, რამაც ხელი შეუშალა ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ 2019 წლის 19 ნოემბრამდე ბრალის წაყენებას, რადგან სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით მანამდე არსებული მტკიცებულებები ვერ ქმნიდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რის საფუძველზეც პროკურატურა, ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმეზე, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალს წაუყენებდა“.<sup>94</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება სასამართლოში. ირაკლი ოქრუაშვილს (ზურაბ ადგიმეილთან ერთად) ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან რვა წლამდე.<sup>95</sup> იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ირაკლი ოქრუაშვილის ბრალეულობა და დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, მასზე გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის შთანთქმის პრინციპი, რადგანაც არ არის სახეზე რეციდივის შემთხვევა.<sup>96</sup> კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილით განსაზღვრული წესით დაინიშნება სასჯელი, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგინდა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის სხვა დანაშაულშიც, რომელიც მან პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე ჩაიდინა. ამ შემთხვევაში საბოლოო სასჯელში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც პირველი განაჩენით მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ“. რადგანაც ირაკლი ოქრუაშვილს 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე უკვე შეფარდებული ჰქონდა სასჯელი და 2019 წლის 25 ივლისიდან 2020 წლის 15 მაისამდე იხდიდა სასჯელს, იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე მის მიმართ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, მას საბოლოო სასჯელში ჩაეთვლება პირველ საქმეზე მოხდილი სასჯელი.

<sup>92</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 167-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>93</sup> იხ. ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 28, <https://rb.gy/wafrr8>, [08.05.2023].

<sup>94</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საჩივრის დაუშვებლად ცნობაზე №1გ/1959-19, გვ. 8.

<sup>95</sup> სისხლის სამართლის კოდექსი, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>96</sup> სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რეციდივი ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. ის გასამართლდა 2019 წელს ჩადენილი დანაშაულისათვის, ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმეზე კი, ოქრუაშვილს ედაგებიან 2004 წელს მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, არ გვაქვს სახეზე დანაშაულის რეციდის შემთხვევა.

## 8. გიორგი უგულავას სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ანალიზი

2013 წელს ქალაქ თბილისის იმდროინდელი მერის წინააღმდეგ რამდენიმე საქმე აღიძრა. ერთ-ერთი იყო „თბილსერვის ჯგუფის“ საქმე, რომელზეც მას ბრალი 2013 წლის 22 თებერვალს წარედგინა. გამოძიება მას სისხლის სამართლის 182-ე მუხლის (მითვისება-გაფლანგვა) მეორე და მესამე ნაწილის დარღვევას ედავებოდა.<sup>97</sup> „გიგი უგულავა კიდევ ერთი ბრალდების გამო 2014 წელს დააკავეს და წინასწარ პატიმრობაში 14 თვეზე მეტი გაატარა. თბილისის ყოფილმა მერმა წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. გიგი უგულავა კი წინასწარ პატიმრობაში 14 თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა. 2015 წლის 17 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დედაქალაქის ყოფილი მერი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაათავისუფლა. თუმცა, მან ციხის გარეთ მხოლოდ ერთი დღე გაატარა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 18 სექტემბერს მას „თბილსერვისის“ საქმეზე 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა“<sup>98</sup>. 2017 წლის იანვარში სააპელაციო სასამართლომ „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეზე უგულავას სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და პატიმრობის ვადა შეუმცირა.<sup>99</sup>

რაც შეეხება, თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობას, გიორგი უგულავას ბრალი წარედგინა 2013 წლის 18 დეკემბერს, სსკ-ის 182 მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ).<sup>100</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენით, გიორგი უგულავას მიმართ წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 333-ე მუხლის პირველ ნაწილზე.<sup>101</sup> ამ საქმის სასამართლო განხილვა თითქმის 5 წელი მიმდინარეობდა. გიორგი უგულავა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის და 8 (რვა) თვის ვადით. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით 8 (რვა) თვის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ, გიორგი უგულავას ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 (ერთი) წლით, 3 (სამი) თვით და 22 (ოცდაორი) დღით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით 6 (ექვსი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა.<sup>102</sup> აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების საფუძველზე, სრულად შთანთქმა „თბილსერვის ჯგუფის საქმეზე“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 6 იანვრის განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა. ამრიგად, გიორგი უგულავას სააპელაციო სასამართლოს მიერ

<sup>97</sup> გიგი უგულავას საქმე - რატომ მიუსაჯეს პატიმრობა, პუბლიკა, <https://rb.gy/zpilsh>, [08.05.2023].

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> იქვე.

<sup>100</sup> იხ. გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 4-5, <https://rb.gy/2pevyy>, [08.05.2023].

<sup>101</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>102</sup> გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 8-9, <https://rb.gy/2pevyy>, [08.05.2023].

დანიშნული სასჯელი, 2015 წლიდან 2017 წლის 6 იანვრამდე, რადგან უკვე მოხდილი ჰქონდა, 2017 წლის 6 იანვარს მან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება დატოვა.<sup>103</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 თებერვლის განაჩენი პროკურატურამ გაასაჩივრა სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება,<sup>104</sup> ხოლო საკასაციო სასამართლომ 2020 წლის 10 თებერვლის განაჩენით, გაიზიარა პროკურატურის პოზიცია და გიორგი უგულავა დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. სასამართლომ გიორგი უგულავას სასჯელის ძირითად სახედ და ზომად განუსაზღვრა 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით, სსკ-ის 43 მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულს 8 (რვა) თვით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება.<sup>105</sup> ეს სასჯელი განახევრდა ამნისტიის კანონის საფუძველზე. განახევრებულ 4,5 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გამოაკლდა 1 წელი, 3 თვე და 22 დღე, რაც უგულავას სასჯელადსრულების დაწესებულებაში უკვე ჰქონდა გატარებული და საბოლოოდ, მას განესაზღვრა პატიმრობა 3 წლით, 2 თვითა და 8 დღით დამატებითი სასჯელის სახით - 4 (ოთხი) თვით სახელმწიფო სამსახურში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - ჩაეთვალია მოხდილად.<sup>106</sup>

საბოლოოდ, გიორგი უგულავა საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა და მან საპატიმრო დატოვა 2020 წლის 15 მაისს.<sup>107</sup>

გამოძიების ორგანოების მიერ „თბილისის განვითარების ფონდის საქმის“ „გაცოცხლება“ და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება მაშინ, როდესაც დარღვეული იყო საკასაციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა, „აჩენდა ეჭვებს საქმის პოლიტიკურ მოტივებთან დაკავშირებით“.<sup>108</sup> აღსანიშნავია, რომ „2014 წლის 4 ივლისს, გიორგი უგულავა დააკავეს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ბრალდებით. აღკვეთის ღონისძიების სახით, სასამართლომ მას 9 თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 2014 წლის 28 ივლისს მას ახალი ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, ე. წ. 7 ნოემბრის საქმეზე“.<sup>109</sup> ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ვერ გამოიყენებოდა, რადგანაც უკვე გამოყენებული იყო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.

ამდენად, 2014 წლის 4 ივლისს წაყენებულ ბრალდებაზე, წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადა გადიოდა 2015 წლის 2 აპრილს. ცხადი იყო, რომ ამ მოკლე დროში სასამართლო ვერ გამოიტანდა გადაწყვეტილებას. ამიტომ, ახალი ბრალდების ფარგლებში, 2014 წლის 4 აგვისტოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბრალდებულ გიორგი უგულავას მიმართ წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრა. 2015 წლის 14 მარტს კი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას პროკურატურამ

<sup>103</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>104</sup> იქვე.

<sup>105</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>106</sup> გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 12, <https://rb.gy/2pevyy>, [08.05.2023]

<sup>107</sup> გიგი უგულავამ საპატიმრო დატოვა, ნეტგაზეთი, <https://rb.gy/yxawrg>, [08.05.2023].

<sup>108</sup> დეტალურად იხ. გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, <https://rb.gy/2pevyy>, [08.05.2023].

<sup>109</sup> იქვე, გვ. 23-24.

მიმართა შუამდგომლობით გიორგი უგულავასათვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. 2015 წლის 15 მარტს მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და ბრალდებულ გიორგი უგულავას ხელახლა შეუფარდა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა. გადაწყვეტილება უგულავამ საკონსტიტუციო სასამართლოშიც გაასაჩივრა. სასამართლომ კი, დააკმაყოფილა მისი კონსტიტუციური სარჩელი.<sup>110</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გიორგი უგულავა სისხლის სამართლის განმხილველმა მოსამართლემ 2015 წლის 17 სექტემბერს დარბაზიდან გაათავისუფლა, „მეორე დღეს - 2015 წლის 18 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, ერთდღიანი თავისუფლების შემდეგ, ისევ ე.წ. „მატროსოვის ციხეში“ დააბრუნეს. განაჩენის მიხედვით, „თბილსერვის ჯგუფის“ ეპიზოდთან დაკავშირებით, პატიმრობა 4 წლითა და 6 თვით მიუსაჯეს“.<sup>111</sup>

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 9 თებერვალს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გიორგი უგულავას საჩივარი. საჩივრის ავტორი დავობდა 2014 წლის ივლისიდან 2015 წლის სექტემბრამდე სისხლის სამართლის ორი საქმის ფარგლებში მისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების (პატიმრობა) კონვენციასთან შესაბამისობის თაობაზე. იგი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ პატიმრობის შეფარდების ერთადერთ მიზანს პოლიტიკური ცხოვრებიდან მისი ჩამოშორება წარმოადგენდა.<sup>112</sup> სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილის დარღვევა უშუალოდ 2015 წლის 2 აპრილიდან 17 სექტემბრამდე წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით, რადგან ამ პერიოდში წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადა უკვე გასული იყო. საქმეში, ასევე, დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევა, რადგან სასამართლოს შეფასებით, 2015 წლის 18 თებერვლის შემდეგ ეროვნულმა სასამართლომ ჯეროვნად ვერ დაასაბუთა მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გაგრძელების აუცილებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით სახელმწიფოს მორალური კომპენსაციის სახით 10 000 ევროს გადახდა დაეკისრა.<sup>113</sup>

დღეისათვის, თბილისის საქალაქო სასამართლოში გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგოხიას წინააღმდეგ ცალკე წარმოებად მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას (ფულის გათეთრება) და ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადებას, გასაღებას ან გამოყენებას. ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძულებასაც ედავება. ამჟამად, სისხლის სამართლის ეს საქმე სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა.<sup>114</sup>

<sup>110</sup> იქვე, გვ. 24-25.

<sup>111</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>112</sup> *Ugulava v. Georgia*, no. 5432/15, § 114, 9 February 2023.

<sup>113</sup> *Ugulava v. Georgia*, no. 5432/15, 9 February 2023.

<sup>114</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული 22 საქმის სასამართლო პროცესს აკვირდება, <https://rb.gy/crg4t2>, [08.05.2023].

## 9. დასკვნა

სისხლისსამართლებრივი დევნის დროულ დაწყებას, ისევე როგორც საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულების უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისთვის. მართლმსაჯულების გაჭიანურებას, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და ყველა იმ საპროცესო უფლებების დარღვევა, რაც დაკავშირებულია როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლოში მისი საქმის სამართლიანი განხილვისას. მათ შორისაა: სწრაფი მართლმსაჯულება, მხარეთა თანასწორობა და შეჭიბველობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სისხლის სამართლის პროცესში კონკრეტულ პირს (ბრალდებულს) უპირისპირდება სახელმწიფო უზარმაზარი რესურსებით, ძალაუფლებით, სახელმწიფო დევნისა და იძულების ინსტრუმენტებით. ამიტომ, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუცია და, სხვა ნორმატიული აქტები უპირველესად ორიენტირებულია ბრალდებულის ინტერესების დაცვაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც უსაფუძვლო დევნა, ისე პირის დამნაშავედ ცნობა, სახელმწიფოს მხრიდან, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, თვითნებობის თუ შეცდომის შედეგად“.<sup>115</sup>

პროკურატურის მხრიდან სისხლისსამართლებრივი დევნის ხელოვნურად გაჭიანურება მაშინ, როდესაც არსებული მტკიცებულებები უკვე ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ პირმა შესაძლოა, ჩაიდინა დანაშაული, ბრალდებულს ართმევს უფლებას, ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით, რადგან კანონმდებელი მხარეთა შეჭიბველობასა და თანასწორობის პრინციპის ამოქმედებას პირდაპირ უკავშირებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. ამასთან, პროკურატურას აქვს კანონით განსაზღვრული ვალდებულება, ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება და აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

იმისათვის, რომ გამოირიცხოს მიკერძოებასთან თუ პოლიტიკურ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ეჭვები და დაცული იყოს ბრალდებულის უფლებები, მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება განხორციელდეს გონივრულ ვადაში, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების დაცვით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომაც შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ფუნქციები და დაიცვას ბრალდებული დაუსაბუთებელი სისხლისსამართლებრივი დევნის, უკანონო მსჯავრდებისა და ადამიანის უფლებების უგულებელყოფისგან.

---

<sup>115</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.